

ევროპის არაწევრი ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი: ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA-ის როლი (ა) სატარიფო სხვაობებით განპირობებული პოტენციალი

ვერონიკა მოვჩანი, დავიდ საჰა

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო

ISET-ის კვლევით ინსტიტუტთან თანამშრომლობით

სტრუქტურა

1. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება(DCFTA) და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი)
2. პუი საქართველოში
3. საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციები
4. მაღალი სატარიფო სხვაობებისა და ღმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტები
5. პუი-ის პოტენციური წყარო ქვეყნების განსაზღვრა
6. დასკვნები და რეკომენდაციები

საკონტაქტო ინფორმაცია


დანართი #1: ქვეყანა-პროდუქტის განსაზღვრა – პროდუქტების მაგალითები

1. DCFTA და პუი

- ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA-ის ფარგლებში, საქართველოს აქვს გადასახადებისგან თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე
- შეუძლია მოიზიდოს ევროკავშირის ბაზარზე საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო პუი
- 2 ინვესტორთა ტიპები
 - ინვესტორები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან
 - ინვესტორები ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან, რომელთაც შეიძლება გამოიყენონ საქართველო როგორც “საექსპორტო პლატფორმა“, აწარმოონ პროდუქტები ევროკავშირის ბაზრისთვის, გაიტანონ ექსპორტზე გადასახადების გადაუხდელოდ
- ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების პოტენციალზე
- საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია:
 - საქართველოს, როგორც წარმოების ადგილის, მიმზიდველობაზე
 - ევროკავშირში ექსპორტსა და ინვესტორის მშობლიური ქვეყანის ტარიფებს შორის სხვაობაზე
- ორივე მნიშვნელოვანია, თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ მხოლოდ სხვაობაზე ტარიფებს შორის
- რომელი პროდუქტებისთვის შეიძლება იყოს საქართველო მიმზიდველი საექსპორტო პლატფორმა?
- რომელი ქვეყნებიდან შეიძლება იყვნენ პოტენციური ინვესტორები?

2. პუი საქართველოში: მიმდინარე მდგომარეობა

პუი-ის შემოდინება საქართველოში, სექტორების მიხედვით, 2015 წ.



- 2015 წ.: პუი-ის მაღალი შემოდინება, 1.35 მილიარდი აშშ დოლარი (მშპ-ის 9.7%)
- ძირითადი წყარო ქვეყნები:
 - აზერბაიჯანი (40%)
 - დიდი ბრიტანეთი (15%)
 - ნიდერლანდების სამეფო (8%)
 - ლუქსემბურგი (6%)
- მაგრამ: 2015 წელს მთლიანი პუი-ის 70% მოდიოდა 6 პროექტზე
- 2015 წელს პუი-ის 75% ჩაიღო ინფრასტრუქტურაში
- პუი საჭიროა ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაშიც

წყარო: საქსტატი

3. საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციები

- საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციები მუშაობს ორი გზით:
 - წარმოების ბოლო ეტაპი ან ეტაპები ხორციელდება საქართველოში
 - წარმოების მთელი პროცესი ხორციელდება საქართველოში
- რა ტიპის ინვესტიცია გაკეთდება, დამოკიდებულია:
 - წარმოშობის წესებზე (რეგულაციებზე): წარმოების საშუალებების განსაზღვრული რაოდენობა უნდა იყოს საქართველოდან, ევროკავშირიდან ან სხვა ავტორიზებული ქვეყნიდან (გააჩნია პროდუქტს)
 - ინვესტორების შედარებით უპირატესობაზე – წარმოების ცოდნა ან წარმოების იაფი საშუალებები
 - წარმოების პირობებზე პროდუქტებისა და წარმოების საშუალებებისთვის საქართველოში
- ჩვენ ვაანალიზებთ
 - რომელ პროდუქტებს აქვს მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის
 - რომელი წარმოშობის წესები გამოიყენება
- არავითარი ამომწურავი ანალიზი. წარმოების პირობები მნიშვნელოვანია
- ბევრ სხვა ქვეყანას აქვს იგივე დონის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე

4. მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების განსაზღვრა

- მიზანი: მაღალი სატარიფო განაკვეთების მქონე პროდუქტების დადგენა
- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (Most Favored Nation – MFN) ფარგლებში ევროკავშირში ექსპორტის ტარიფები
- HS-ის 10-ციფრიან დონეზე განსაზღვრული ტარიფები, ~15,000 ტარიფი
- ჩვენ ვიყენებთ პროდუქტების უფრო ფართო კატეგორიებს (HS-ის 1 და 6-ციფრიანი დონეები)
- კატეგორიის ფარგლებში სახელმწიფოს მაქსიმალური და საშუალო სატარიფო დონეები
- არ ვეხებით პროდუქტებს, რომლებზეც მოქმედებს სატარიფო განაკვეთის კვოტა
- სატარიფო განაკვეთის დონე: კატეგორიაში შემავალ ზოგიერთ პროდუქტზე მინიმუმ 5%
 - მნიშვნელოვანი სატარიფო სხვაობაა საჭირო, თუ ეს წაახალისებს ინვესტიციას
- შეიცავს ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს, მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტი მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია (სურსათის უსაფრთხოების საკითხები)
- შედეგი: 2261 კონკრეტულ კატეგორიას (5205-იდან HS-ის 6-ციფრიან დონეზე) 17 ფართო კატეგორიაში (22-დან HS-ის 1-ციფრიან დონეზე) აქვს 5%-ზე მაღალი ტარიფი


4. ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტების განსაზღვრა

- წარმოშობის წესების ორი ფართო კატეგორია:
 - „მთლიანად მიღებული“ პროდუქტები: წარმოებაში არ არის ჩართული არცერთი არა-ავტორიზებული ქვეყანა. როგორც წესი, ეხება სოფლის მეურნეობას, სურსათისა და მომპოვებელ მრეწველობებს
 - „ჯეროვნად გარდაქმნილი“ პროდუქტები: გამოყენებულია წარმოების საშუალებები არა-ავტორიზებული ქვეყნებიდან, მაგრამ გარდაიქმნება წარმოების პროცესში. ეხება სამრეწველო პროდუქტების უმეტესობას. ჯეროვანი გარდაქმნის დასამტკიცებლად, გამოიყენება მრავალფეროვანი კრიტერიუმები: სხვადასხვა HS-ის სათაურები წარმოების საშუალებებისა და საბოლოო პროდუქტისთვის, არა-ავტორიზებული ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქტების ფასებში წარმოების საშუალების მაქსიმალური ღირებულება, წარმოებაში ნებადართული იმპორტირებული წარმოების საშუალებების კონკრეტული ტიპები და სხვ.
- შერჩევის კრიტერიუმები: ყველა პროდუქტი, გარდა იმათი, რომლებისთვისაც წარმოშობის წესები აწესებს არა-ავტორიზებული ქვეყნებიდან შემოტანილი წარმოების საშუალებების მაქსიმალურ წილს პროდუქტის ღირებულებაში.
 - გამონაკლისი: შაქრის მაქსიმალური შემცველობა საკვებ პროდუქტებში
- შედეგი: 3010 სპეციალური კატეგორია (5205-დან HS-ის 6-ციფრიან დონეზე) 20 ფართო კატეგორიაში (22-დან HS-ის 1-ციფრიან დონეზე) შეირჩა წინასწარ

4. მაღალი სატარიფო სხვაობებისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტები

- **1394** სპეციალურ კატეგორიას (5205-დან HS-ის 6-ციფრიან დონეზე) **14** ფართო კატეგორიაში (22-დან HS-ის 1-ციფრიან დონეზე) აქვს 5%-ზე მაღალი ტარიფები და ლმობიერი წარმოშობის წესები
- აშკარაა ორი ძირითადი ჯგუფი:
 - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სურსათი, განსაკუთრებით ცხოველური წარმოშობის პროდუქტები; მზა საკვები პროდუქტები: ყველაზე მაღალი ტარიფები
 - სამრეწველო პროდუქტები, განსაკუთრებით ქსოვილები, ფეხსაცმელი, ქიმიური ნივთიერებები, ასევე, შერჩეული საინჟინრო საქონელი: დაბალი ტარიფები, მაგრამ ზოგიერთ კონკრეტულ საქონეს აქვს ძალიან მაღალი ტარიფი
- 5%-იან ბარიერს ქვემოთ ტარიფების სიხშირე განსხვავება:
 - სოფლის მეურნეობა და სურსათი: 19%
 - სამრეწველო საქონელი: 58%, მეტიც, შავი ლითონებისა და სხვადასხვა სამრეწველო პროდუქტებისთვის დაახლოებით 90%
- ევროკავშირის ბაზარი სოფლის მეურნეობისთვის განსაკუთრებით დაცულია, თუმცა სამრეწველო პროდუქტებზეც მოქმედებს მნიშვნელოვანი ტარიფები


4. პროდუქტების ფართო კატეგორიები: ევროკავშირის MFN-ის ტარიფები



ტარიფი, ღირებულების %

წყარო: WITS, ავტორების გამოთვლები * მხოლოდ წინასწარ შერჩეული თოთხმეტი HS1d კატეგორიისთვის

4. პროდუქტების ფართო კატეგორიები: სატარიფო განაკვეთის სიხშირეები



წყარო: WITS, ავტორების გამოთვლები * მხოლოდ წინასწარ შერჩეული თოთხმეტი S1d კატეგორიისთვის

5. სავაჭრო რეჟიმი ევროკავშირთან

- **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (MFN) ტარიფები**
MFN არის უმაღლესი სატარიფო დონე, რომელსაც ევროკავშირი იყენებს როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ, ისე არაწევრ ქვეყნებზე.
- **ცალმხრივი სატარიფო შეღავათები**
ეს შეღავათები გულისხმობს პრეფერენციების გენერალიზებულ სისტემას (Generalized System of Preferences – GSP) და ავტონომიურ სავაჭრო პრეფერენციებს.
2014 წელს ევროკავშირმა წარმოადგინა განახლებული GSP → 20+ მაღალი და ზედა საშუალო შემოსავლების ქვეყანამ დაასრულა GSP-ის შეღავათებით სარგებლობა.
- **საკასუხო სატარიფო შეღავათები**
საკასუხო მექანიზმები გვხვდება FTA-ის, ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმებების, ასოცირების შეთანხმებების და სხვ. ფორმით. ამჟამად ევროკავშირს აქვს თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება 50-ზე მეტ ქვეყანასთან და კიდევ უფრო მეტი მოლაპარაკების პროცესშია.

5. საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის პოტენციური წყარო ქვეყნები

- ამჟამად 33 ქვეყანა ვაჭრობს ევროკავშირთან MFN-ის ტარიფებით
 - საქართველოში პუი-ის ჩადებით დაინტერესება დამოკიდებულია:
 - საქართველოსთან შედარებით გეოგრაფიული სიახლოვეზე
 - ეკონომიკური განვითარების დონეზე
 - ევროკავშირთან FTA-იზე მიმდინარე მოლაპარაკებების არარსებობაზე
 - სასურველია, განვითარებული ეკონომიკური კავშირები საქართველოსთან
 - საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის პოტენციური წყარო ქვეყნები: აზერბაიჯანი, ჩინეთი, ირანი, ყაზახეთი, კუვეიტი, რუსეთი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამირო.
 - 2015 წელს ჩინეთმა დაკარგა ევროკავშირის GSP-ის შეღავათები; ახლა იგი ექსპორტისთვის იყენებს MFN-ის ტარიფებს → შეიძლება დაინტერესებული იყოს საქართველოს DCFTA-ის გამოყენებით.
- რომელი ქვეყანა შეიძლება დაინტერესდეს საქართველოთი, როგორც საექსპორტო პლატფორმით, და რომელი პროდუქტებისთვის?

5. ქვეყანა-პროდუქტის კომბინაციის განსაზღვრა

- პოტენციურად მიმზიდველი ქვეყანა-პროდუქტის კომბინაციის დასადგენად:
 - უნდა დავადგინოთ პროდუქტი, რომელიც პოტენციურ წყარო ქვეყანას უკვე გააქვს ექსპორტზე (100 ათასი აშშ დოლარზე მეტი წელიწადში), თუმცა არა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში
 - უნდა მივუსადაგოთ კატეგორიების სიას, რომელთაც აქვთ 5%-ზე მაღალი ტარიფები და ლმობიერი წარმოშობის წესები → ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ბარიერები შეიძლება მეტისმეტად მაღალი იყოს, ამიტომ საქართველოს, როგორც საექსპორტო პლატფორმას, შეუძლია გადაჭრას ეს პრობლემა.
- შედეგები:
 - რუსეთსა და საუდის არაბეთს აქვთ პროდუქტების ყველაზე გრძელი სია, რაც შეიძლება მიმზიდველი იყოს პუი-ისტვის
 - 2014 წელს ევროკავშირის ბაზარზე ჯერ კიდევ შეღავათიანი წვდომის გამო, ჩინეთს აქვს პროდუქტების ძალიან მოკლე სია, რომელსაც ექსკლუზიურად აწვდის ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს
 - მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტებს შორის, რომლებიც ამ 8 ქვეყანას ექსპორტზე გააქვს ექსკლუზიურად ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში, დომინირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ქსოვილები.

5. რა ტიპის პროდუქტებით შეიძლება დაინტერესდნენ პოტენციური წყარო ქვეყნები?

მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირს გარეთ, წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი დონის კატეგორიების რაოდენობა, რომლებიც ექსკლუზიურად შედის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში (წითელი ნიშნავს, რომ HS-ის 25%-ზე მეტი იქნა გატანილი ექსპორტზე)*

	HS-ის 6- ციფრიანი დონე	ჩინეთი	აზერბაიჯანი	ირანი	ყაზახეთი	კუვიტი	საუდის არაბთი	არაბთა გაერთიანებული საამირო	რუსეთი
		2014	2014	2011	2014	2014	2014	2014	2014
I ცხოველური წარმოშობის პროდუქტები	279	11	6	38	42	36	64	51	100
II ბოსტნეული პროდუქტები	160	30	10	39	32	23	66	26	54
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთი	38	3	6	8	10	8	16	16	10
IV მზა საკვები პროდუქტები	169	19	22	43	50	38	67	64	98
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	23	4	0	1	0	0	2	2	11
VII პლასტმასი, რეზინა	11	0	0	1	2	0	1	2	7
VIII ნედლეული, ტყავი	19	6	2	6	6	3	0	3	7
IX ხე და ხის ნაწარმი	18	1	0	2	3	2	10	5	2
XI ქსოვილები	577	19	6	83	54	72	119	113	242
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	24	0	0	12	8	10	15	8	7
XIII ქვის ნაწარმი, თაბაშირი, შუშა	34	0	1	15	4	12	18	8	8
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	30	1	0	1	5	5	2	2	10
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	3	0	0	0	2	1	2	0	2
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	9	0	0	1	1	2	1	3	4
ჯამი	1394	94	53	250	219	212	383	303	562

წყარო: WITS, ავტორების გამოთვლები * მოქმედებს 100 ათას აშშ დოლარის ექსპორტის ბარიერი

6. დასკვნები და რეკომენდაციები

- DCFTA-ს შეუძლია მოიზიდოს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი საქართველოში
- სატარიფო სხვაობები შეიძლება გამოვიყენოთ ინვესტორების მოსაზიდად იმ ქვეყნებიდან, რომელთაც არ აქვთ შეღავათიანი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ქსოვილები არის ყველაზე იმედისმომცემი კატეგორია, რაც მიმზიდველია პუი-ის მოზიდვის თვალსაზრისით.
 - ყოველ ჯერზე დავადასტუროთ, რომ წარმოების პირობები დადგენილი პროდუქტისთვის საქართველოში შესაფერისია
- თუმცა სხვაობა ტარიფებს შორის არის პუი-ის მოზიდვის მხოლოდ ერთი მხარე
- საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის მოზიდვის თვალსაზრისით, საქართველო კონკურენციაშია 50-ზე მეტ ქვეყანასთან, რომელთაც აქვთ კარგი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე
- ევროკავშირის ბაზარზე წვდომის პოტენციალის გამოყენებისთვის შესაბამისი პროდუქციის წარმოების პირობები მიმზიდველი და კონკურენტული უნდა იყოს
- უნდა გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის, სატარიფო სხვაობები უნდა დაუკავშირდეს სექტორულ პოლიტიკას

საკონტაქტო ინფორმაცია

ვერონიკა მოვჩანი

movchan@berlin-economics.com

დავიდ საჰა

saha@berlin-economics.com

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო

ასევე, BE Berlin Economics GmbH

შილერის ქ. 59, D-10627 ბერლინი, გერმანია

ტელ.: +49 30 / 20 61 34 64 0

ფაქსი: +49 30 / 20 61 34 64 9

www.get-georgia.de

Twitter: @BerlinEconomics

დანართი 1: ქვეყანა-პროდუქტის განაწილება

- ორი ფაქტორის გამოყენებით, თითოეული პოტენციური წყარო ქვეყნისთვის ჩვენ შევარჩიეთ პროდუქტები, რომლებიც არის ყველაზე იმედისმომცემი პუი-ის მოზიდვის თვალსაზრისით:
 - საშუალო ტარიფი HS-ის 6-ციფრიან დონეზე
 - პროდუქტების ევროკავშირს მიღმა ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ევროკავშირს მიღმა ექსპორტში
- მომდევნო გვერდზე ცხრილი შეიცავს 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო კატეგორიის ნიმუშებს, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის (5%-ზე მეტი)
 - ლმობიერი წარმოშობის წესები (იმპორტირებული წარმოების საშუალებების შეუზღუდავი წილი საბოლოო პროდუქტის ღირებულებაში)
 - ამ პროდუქტის ევროკავშირს მიღმა ექსპორტის მაღალი წილი პოტენციური წყარო ქვეყნის მთლიან ექსპორტში

აზერბაიჯანი: პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე პროდუქტები

- HS-ის 6-ციფრიან დონეზე მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე 1394 პროდუქტიდან **53**, რომელიც ექსკლუზიურად გადის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში: 44 სასოფლო-სამეურნეო და 9 სამრეწველო პროდუქტი
- პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო პროდუქტის ნიმუში

განმარტება	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %
ლერწმის ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარი ფორმით (გარდა ლერწმისა და ჭარხლის შაქრისა, რომელიც შეიცავს დამატებულ არომატულ ან საღებავ და ნედლ შაქარს)	68,5	68,5
საკვები ნარევები ან მზა ცხოველური ან მცენარეული ზეთები და სხვადასხვა ცხიმებისა და ზეთების საკვები ფრაქციები (გარდა ცხიმებისა და მათი შემადგენელი ფრაქციებისა, ნაწილობრივ ან სრულად ჰიდრირებული, ესტერიფიცირებული, ხელახლა რეესტერიფიცირებული	17,7	29,2
მცენარეული ცხიმები და ზეთები და მათი ფრაქციები, სრულად ან ნაწილობრივ ჰიდროდამუშავებული, ესტერიფიცირებული, რეესტერიფიცირებული, მიუხედავად იმისა რაფინირებული თუ არარაფინირებული, მაგრამ არ არის მომზადებული	10,1	12,8
ახალი ხურმა	8,8	8,8
კიტრი და კორნიშონი, ახალი თუ გაცივებული	28,8	61,2
ტომრები და ჩანთები პროდუქტების შეფუთვისთვის, პოლიეთილენის თუ პოლიპროპილენის ხაზით ან მსგავსი (გარდა მოქნილი შუალედური კონტეინერისა)	9,6	12,0
მთლიანი მარცვლები, გაურჩეველი და დარჩეული მარცვლები სველ მდგომარეობაში, „მათ შორის „Wet-Blue“, რქოსანი პირუტყვის ტყავის, მათ შორის კამეჩის ან ცხენის ჯიშის ცხოველის, გათრიბული, ბეწვის გარეშე (გარდა მომზადებული)	5,5	5,5
მსხვილფეხა რქოსნის ტყავი „მათ შორის კამეჩის“ ან ცხენის ჯიშის პირუტყვის, მშრალ მდგომარეობაში, „ქერქი“, ბეწვის გარეშე, გატყავებული თუ არა (გარდა დამუშავებულისა და მთლიანი მარცვლებისა, დარჩეული თუ დაურჩეველი მარცვლებისა)	6,3	6,5
მატყლის ქსოვილები, რომელიც ძირითად შეიცავს 85% ნაკლებ აბრეშუმსა და აბრეშუმის ნარჩენებს	6,9	6,9
ნახმარი ტანსაცმელი და ტანსაცმლის აქსესუარები, საბნები და სამოგზაურო პლედეები, საოჯახო თეთრეული და ინტერიერის ნივთები, ყველა ტიპის ქსოვილები, მათ შორის ნებისმიერი ტიპის ფეხსაცმელი და ქუდი	5,3	5,3

შენიშვნა: ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დამოკიდებულია საქართველოში სურსათის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე

ჩინეთი: პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე პროდუქტები

- HS-ის 6-ციფრიან დონეზე მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე 1394 პროდუქტიდან **94**, რომელიც ექსკლუზიურად გადის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში: 63 სასოფლო-სამეურნეო და 31 სამრეწველო პროდუქტი
- პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო პროდუქტის ნიმუში

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %
გაყინული ღორის ხორცი (გარდა ტანისა, ნახევარტანისა, ბარკლების, ბეჭებისა და ნაჭრებისა ძვლებით)	29,9	32,7
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მზა ან დაკონსერვებული ხორცი (გარდა ძეხვისა და მსგავსი პროდუქტებისა, წვრილად ჰომოგენიზებული ნაჭრები განკუთვნილი საცალო გაყიდვებისთვის, როგორც ბავშვის საკვები ან დიეტური მიზნებისთვის, 250 გრამიან კონტეინერებში, ცოცხალი საქონლის დამუშავებული პროდუქტები ახალი ან გაცივებული კარტოფილი (გარდა თესლისა)	32,5	64,4
ცხიმიანი რძე და ნაღები 1%-ზე მეტი და 6%-ზე ნაკლები წონით, არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით	9,6	11,5
არადენატურირებული ეთილის სპირტი 80%-ზე მეტი ჩვეულებრივი ალკოჰოლის ძალით	46,9	52,4
მოქსოვილი ქსოვილი, რომელიც შეიცავს 85%-ზე მეტ აკრილის ან მოდაკრილის ბოჭკოს, გათეთრებული თუ გაუთეთრებელი	18,8	18,8
მრავალშრიანი ან დახვეული სელის ნართი	8	8
მსხვილფეხა რქოსნის ტყავი „მათ შორის კამჩის“ ან ცხენის ჯიშის პირუტყვის, მშრალ მდგომარეობაში, „ქერქი“, ბეწვის გარეშე, გატყავებული თუ არა (გარდა დამუშავებულისა და მთლიანი მარცვლებისა, დარჩეული თუ დაურჩეველი მარცვლებისა)	5	5
სტეარინის მჟავა, სამრეწველო	5,5	5,5
ხალიჩები და იატაკის სხვა ქსოვილის საფარი, მოქსოვილი, არა ფოჩებიანი ან გათელილი, არა კაფელის ზედაპირისთვის, არახელოვნური (გარდა ხალიჩებისა, მყარად ნაქსოვი ნოხებისა და ქოქოსის ბოჭკოს „ნართის“ იატაკის საფარისა)	5,1	5,1
	8,0	8,0

შენიშვნა: ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დამოკიდებულია საქართველოში სურსათის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე

ირანი: კუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე პროდუქტები

- HS-ის 6-ციფრიან დონეზე მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე 1394 პროდუქტიდან **250**, რომელიც ექსკლუზიურად გადის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში: 128 სასოფლო-სამეურნეო და 122 სამრეწველო პროდუქტი
- კუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო პროდუქტის ნიმუში

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %
კიტრი და კორნიშონი, ახალი თუ გაცივებული	28,8	61,2
ლერწმის ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარი ფორმით (გარდა ლერწმისა და ჭარხლის შაქრისა, რომელიც შეიცავს დამატებულ არომატულ ან საღებავ და ნედლე შაქარს)	68,5	68,5
იოგურტი, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	54,0	141,1
დო, აჭრილი რძე და ნაღები, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე (გარდა იოგურტისა)	71,7	151,3
ყველი (გარდა ახალი ყველისა, შრატის ყველისა, აჭრილი, დამუშავებული ყველისა, დაობებული და სხვა ყველისა, რომელიც შეიცავს „Penicillium roqueforti“, გახეხილი და ფხვიერი ყველისა)	34,9	49,1
ფეხსაცმელი გარე ძირებით და რეზინის ან პლასტმასის ძირებით	16,8	17,0
ჭურჭელი და სამზარეულოს ნივთები, ფაიფურის (გარდა ორნამენტული ნაწარმისა, ქოთნების, დოქების, ბოცებისა და სხვა მსგავსი კერამიკის პროდუქტების საზიდი ნაწარმისა, ყავისა და სუნელების საფქვავეებისა)	12,0	12,0
ხალიჩები და იატაკის სხვა საფარი, ადამიანის დამზადებული ქსოვილები, ფოჩებიანი ან ნემსით ნაქსოვი ტომრები და ჩანთები, პროდუქტების შესაფუთი, პოლიეთილენის ან პოლიპროპილენის ძაფის ან მსგავსი (გარდა მოქნილი შუალედური კონტეინერისა)	8,0	8,0
კერამიკური ნიჟარები, პირსაბანები, პირსაბანის საყრდენები, აბაზანები, ბიდები, წყლის კარადები, ჩასარეცხი ავზები, პისუარები და მსგავსი სანიტარული ინვენტარი, ფაიფურის (გარდა სასაპნებისა, ღრუბლის დასადებისა, კბილის ჯაგრისის დასადებისა, პირსახოცის საკიდისა და ტუალეტის ქაღალდის საკიდისა)	9,6	12,0
კერამიკური ნიჟარები, პირსაბანები, პირსაბანის საყრდენები, აბაზანები, ბიდები, წყლის კარადები, ჩასარეცხი ავზები, პისუარები და მსგავსი სანიტარული ინვენტარი, ფაიფურის (გარდა სასაპნებისა, ღრუბლის დასადებისა, კბილის ჯაგრისის დასადებისა, პირსახოცის საკიდისა და ტუალეტის ქაღალდის საკიდისა)	7,0	7,0

შენიშვნა: ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დამოკიდებულია საქართველოში სურსათის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე

ყაზახეთი: პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე პროდუქტები

- HS-ის 6-ციფრიან დონეზე მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე 1394 პროდუქტიდან **219**, რომელიც ექსკლუზიურად გადის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში: 134 სასოფლო-სამეურნეო და 85 სამრეწველო პროდუქტი
- პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო პროდუქტის ნიმუში

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %
ხორბლის ან ჭვავის ფქვილი	44,2	44,2
ქერი (გარდა სათესი თესლისა)	41,8	41,8
ხორბლის და ჭვავის თესლი სათესად	31,4	40,8
ცხიმიანი რძე და ნაღები 1%-ზე მეტი და 6%-ზე ნაკლები წონით, არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით	46,9	52,4
ანაცერი, ქატო ან ხორბლის სხვა ნარჩენები, გრანულების ფორმით, დაფქვით, გაცრით ან სხვა გზით მიღებული ფეხსაცმელი ძირებით და რეზინის ან პლასტმასის ძირებით (გარდა ტერფამდე დაფარული ან ზედა თასმებით აწებებული სანთლით, წყალგაუმტარი ფეხსაცმელი სათაურით 6401, სპორტული ფეხსაცმელი, ორთოპედული ფეხსაცმელი და სათამაშო ფეხსაცმელი)	37,7	50,5
სანიტარული პირსახოცები (ბალიშები) და ტამპონები, ხელსახოცები და ხელსახოცები ბავშვებისთვის, ნებისმიერი მასალის მსგავსი ნაწარმი	16,8	17,0
ჭურჭელი და სამზარეულოს ნივთები, ფაიფურის (გარდა ორნამენტული ნაწარმისა, ქოთნების, დოქების, ბოცებისა და სხვა მსგავსი კერამიკის პროდუქტების საზიდი ნაწარმისა, ყავისა და სუნელების საფქვავეებისა)	8,4	10,5
მთელმარცვლიანი ტყავი „პერგამენტის ტყავის ჩათვლით“ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის „კამეჩის ჩათვლით“ ტყავისგან განუყოფელად, გათრიმვისა და გატყავების შემდეგ დამუშავებული, ბეწვის გარეშე (გარდა ზამშის ტყავისა, ლაქის ტყავისა, ტყავის შემცვლელისა და ლამინატის შემცვლელისა)	12,0	12,0
ქალის ან გოგონას ქსოვილის მასალის ნაკრები (გარდა ზამშის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, სათხილამურო აღჭურვილობისა და საცურაო აღჭურვილობისა)	6,5	6,5
ქალის ან გოგონას ქსოვილის მასალის ნაკრები (გარდა ზამშის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, სათხილამურო აღჭურვილობისა და საცურაო აღჭურვილობისა)	12,0	12,0

შენიშვნა: ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დამოკიდებულია საქართველოში სურსათის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე

კუვეიტი: პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე პროდუქტები

- HS-ის 6-ციფრიან დონეზე მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე 1394 პროდუქტიდან **212**, რომელიც ექსკლუზიურად გადის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში: 105 სასოფლო-სამეურნეო და 107 სამრეწველო პროდუქტი
- პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო პროდუქტის ნიმუში

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %
რძე და ნაღები, კონცენტრირებული, დაუტკობელი (გარდა მყარი ფორმისა)	114,2	189,7
ხორბლის ან ჭვავის ფქვილი	44,2	44,2
ცხიმიანი რძე და ნაღები 6%-ზე მეტი და 10%-ზე ნაკლები წონით, არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით	79,7	80,3
საკვები პროდუქტები	11,1	12,8
შრატი ან მოდიფიცირებული შრატი, კონცენტრირებული ან არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით	146,8	190,2
ქსოვილის მასალის კარვები (გარდა სინთეზური ბოჭკოსი, ქოლგებისა და სათამაშო კარვებისა)	12,0	12,0
ბადეები, მატრასები, დაფები და მსგავსი უქსოვადი პროდუქტები, მინის ბოჭკოს (გარდა საგებებისა და თხელი ფარდაგებისა)	5,0	5,0
მინის ბოჭკო, მინის შალითა და მათი ნაწარმი (გარდა მატყლისა, ბოჭკოს ხვეულებისა, ნართებისა, დაჭრილი ბოჭკოსი. შეიცავს ვიწრო ბოჭკოს, თხელ ფენებს, ბადეებს, მატრასებს, დაფებსა და მსგავსი უქსოვადი პროდუქტები, მინერალური ბამბა და მისი ნაწარმი)	7,0	7,0
სპეციალური ტანსაცმელი პროფესიონალი სპორტული თუ სხვა მიზნებისთვის. ბამბის, მანქანით ან ხელით ნაქსოვი	12,0	12,0
ფეხსაცმელი რეზინის ან პლასტმასის ძირით (გარდა ტერფამდე დაფარული ან ზედა თასმებით აწებებული სანთლით, წყალგაუმტარი ფეხსაცმელი სათაურით 6401, სპორტული ფეხსაცმელი, ორთოპედული ფეხსაცმელი და სათამაშო ფეხსაცმელი)	16,8	17,0

შენიშვნა: ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დამოკიდებულია საქართველოში სურსათის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე

რუსეთი: პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე პროდუქტები

- HS-ის 6-ციფრიან დონეზე მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე 1394 პროდუქტიდან **562**, რომელიც ექსკლუზიურად გადის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში: 262 სასოფლო-სამეურნეო და 300 სამრეწველო პროდუქტი
- პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო პროდუქტის ნიმუში

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %
დო, აჭრილი რძე და ნაღები, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე (გარდა იოგურტისა)	71,7	151,3
რძე და ნაღები, კონცენტრირებული, დაუტკობელი (გარდა მყარი ფორმისა)	114,2	189,7
ანაცერი, ქატო ან ხორბლის სხვა ნარჩენები, გრანულების ფორმით, დაფქვით, გაცრით ან სხვა გზით მიღებული	37,7	50,5
ძეხვი და ხორცის, შიგნეულისა და სისხლის მსგავსი პროდუქტები, ამ პროდუქტებზე დამზადებული საკვები პროდუქტები	25,4	36,3
ხორბლის და ჭვავის ფქვილი	44,2	44,2
ველოსიპედები და სხვა, მათ შორის მიწოდების სამთვლიანი ველოსიპედები, არამოტორიზებული	14,6	15,0
ტანსაცმლის ნაწილები და აქსესუარები, მანქანით ან ხელით ნაქსოვი, n.e.s.	12,0	12,0
შესაკრავი და სახვევი ბაწრები, პოლიეთილენის ან პოლიპროპილენის	8,0	8,0
ნაილონის ან სხვა პოლიამიდების მაღალი დრეკადობის საბურავის ბოჭკო, პლასტმასით ან რეზინით გაჟღენთილი ან გაუჟღენტავი	6,8	8,0
იატაკის საფარი, დასაფარი თუ დასაფენი, ტექსტილის სარჩულით, ფორმებად გამოჭრილი თუ გამოუჭრელი (გარდა ლინოლეუმისა)	5,3	5,3

შენიშვნა: ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დამოკიდებულია საქართველოში სურსათის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე

საუდის არაბეთი: პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე პროდუქტები

- HS-ის 6-ციფრიან დონეზე მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე 1394 პროდუქტიდან **383**, რომელიც ექსკლუზიურად გადის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში: 213 სასოფლო-სამეურნეო და 170 სამრეწველო პროდუქტი
- პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო პროდუქტის ნიმუში

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %
ხილის წვენების ნარევები, მათ შორის, ყურძნის ბადაგი, ბოსტნეულის წვენები, არაფერმენტირებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი საშუალებებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველისა)	28,0	52,2
ლერწმის ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარ მდგომარეობაში (გარდა ლერწმის ან ჭარხლის შაქრისა, რომელიც შეიცავს არომატულ ან შეფერილობის დანამატებს და შაქრის ნედლეულს	68,5	68,5
იოგურტი, საგემოვნო დანამატებით, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით, ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	54,0	141,1
დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლისა ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	71,7	151,3
ხილის ან ბოსტნეულის წვენები, არაფერმენტირებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი საშუალებებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველი, ნარევების, ციტრუსის, ანანასის, პომიდვრის, ყურძნის წვენებისა, მათ შორის ყურძნის ბადაგისა, ვაშლისა და მოცვისა)	24,4	44,2
მინის ბოჭკოები, მათ შორის მინის ნართი და მისი ნაწარმი (გარდა უფერო ნატეხებისა, როვინგებისა, ნართებისა, დაჭრილი ბოჭკოსი, ქსოვილის ბოჭკოსი, მათ შორის, ვიწრო ბოჭკოები, თხელი ფურცლები, ქსელები, ხალიჩები, მატრასები, დაფები და სხვა მსგავსი უქსოვადი პროდუქტები, მინერალური ბამბა და მისი ნაწარმი	7	7
ხალიჩები და იატაკის დანარჩენი საფენები, ხელოვნური ტექსტილის მასალა, ნაქსოვი, არა ფოჩებიანი ან გათელილი, არა კაფელის ზედაპირისთვის, არახელოვნური (გარდა ხალიჩებისა ან ხელით ნაქსოვი დასაფენებისა)	8	8
ბიჭის ან მამაკაცის ტექსტილის მასალის ჟაკეტები და ქურთუკები (გარდა ბამბისა, ცხოველის ბეწვისა, ბამბის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, მანქანით ან ხელით ნაქსოვისა, ქარის ქურთუკებისა და მსგავსი ნაწარმისა)	12	12
ქეჩა, გაჟღენთილი, დაფარვით, დუბლირებული ან ლამინირებული (გარდა დაზვით ნაქსოვი ქეჩისა და დაკერებული ბოჭკოვანი ქსოვილებისა)	6,7	6,7
ტექსტილის მასალის საბნები და სამოგზაურო პლედები (გარდა მატყლის ცხოველის ბეწვის, ბამბის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, ელექტრო, მაგიდის გადასაფარებლებისა, ლოგინის თეთრეულისა და ლოგინის ნაწარმი და მსგავსი მოსაპირკეთებელი საქონელი 9404 სათაურის ფარგლებში)	12	12

შენიშვნა: ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დამოკიდებულია საქართველოში სურსათის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე

არაბთა გაერთიანებული საამირო: პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე პროდუქტები

- HS-ის 6-ციფრიან დონეზე მაღალი სატარიფო სხვაობისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე 1394 პროდუქტიდან **303**, რომელიც ექსკლუზიურად გადის ექსპორტზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში: 157 სასოფლო-სამეურნეო და 146 სამრეწველო პროდუქტი
- პუი-ის მოზიდვის პოტენციალის მქონე 5 სასოფლო-სამეურნეო და 5 სამრეწველო პროდუქტის ნიმუში

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %
რძე და ნაღები, კონცენტრირებული, დამატკობლები გარეშე (გარდა მყარი ფორმებისა)	114,2	189,7
ცხოველების კვებაში გამოყენებული პრეპარატები (გარდა საცალო გაყიდვებისთვის განკუთვნილი ძაღლის ან კატის საკვებისა)	64,3	153,1
შრატი და მოდიფიცირებული შრატი, კონცენტრირებული ან არაკონცენტრირებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი საშუალებებით ან მათ გარეშე	146,8	190,2
ცხიმინი რძე და ნაღები 1%-ზე მეტი და 6%-ზე ნაკლები წონით, არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით	46,9	52,4
Gallus domesticus-ის ჯიშის ცხოველების ხორცი ან შიგნეული, მზა ან დაკონსერვებული (გარდა ძეხვისა და მსგავსი პროდუქტებისა, საცალო გაყიდვებისთვის განკუთვნილი წვრილად ჰომოგენიზებული პრეპარატები როგორც ბავშვის საკვები ან დიეტური დანიშნულების, 250 გრამიან კონტეინერებში)	71,4	79,7
ტექსტილის მასალის მამაკაცისა და ბიჭების კოსტიუმები (გარდა მატყლის, ცხოველის ბეწვის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, მანქანით ან ხელით ნაქსოვი, კომბინიზონი, სათხილამურო და საცურაო კოსტუმი)	12,0	12,0
ნეილონის ან სხვა პოლიამიდების ხალიჩები და იატაკის საფარები, ფოჩებიანი, ნემსით ამოქარგული, მზა ან არამზა	8,0	8,0
სპორტული ფეხსაცმელი, ჩოგბურთის, კალათბურთის, სპორტ-დარბაზის, სასწავლო ფეხსაცმელი და მსგავსი, რეზინის ან პლასტმასის გარე ძირებით, ტექსტილის მასალის ზედა ნაწილით	16,9	16,9
ხელოვნური ბოჭკოს მამაკაცისა და ბიჭის მაისურები (გარდა ხელით ან მანქანით ნაქსოვი, პერანგები, სათბურები და სხვა ჟილეტები)	12,0	12,0
იატაკის ქეჩის ფილები, 0,3 მ ² ზომისა	6,7	6,7

შენიშვნა: ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დამოკიდებულია საქართველოში სურსათის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე